

1. სახელწოდება: ელექტრობა/ Electricity
2. სარეგისტრაციონომერი: 07313-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში/Secondary Vocational Qualification in Electricity
4. მიზანი:
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ელექტრობაში.
5. დაშვების წინაპირობა:
 - სრული ზოგადი განათლება- საშუალო პროფესიული კვალიფიკაციისათვის -
 - საბაზო ზოგადი განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ელექტრობის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელიც ფლობს ან ოპერირებს უწყვეს ქვესადგურებს და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, მას შეუძლია აწარმოოს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემების ექსპლოატაცია წარმოების ადგილიდან გამანაწილებელ სისტემამდე, აწარმოოს იმ გამანაწილებელი (ელექტრული ხაზების, ბოძების, მრიცხველების და კაბელებისაგან შემდგარი) სისტემების ექსპლოატაცია, რომლებიც აწვდიან წარმოების ადგილიდან ან გადაცემის სისტემიდან მიღებულ ელექტროენერჯიას საბოლოო მომხმარებელს.

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: მონტიორი; მონტიორის თანაშემწე და ელექტროენერჯის გადამცემი სისტემების სპეციალისტი.

7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის:

	მოდულების დასახელება	კრედიტები
	ზოგადი მოდულები	
1.	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1
2.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3.	მეწარმეობა 2	2
4.	უცხოური ენა	5
		11
	სავალდებულო ზოგადი მოდული რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე ტესტირების გზით ჩარიცხული სტუდენტებისთვის	
5.	ქართული ენა B1	15
6.	ქართული ენა A2	15
		30
№	საერთო პროფესიული მოდულები -	კრედიტი
7.	გაცნობითი პრაქტიკა ელექტრობაში	2
8.	საინჟინრო ხაზვა	4
9.	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	4
10.	კომუნიკაცია ელექტრობის სფეროში	4
	ჯამი:	14
№	პროფესიული მოდულები - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - ელექტრობაში	
11.	უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტრობაში	3
12.	ელექტროტექნიკური მასალები	3
13.	ელექტრული ფუნქციები და ანალიზი	2

14.	საზენკლოპერაციებისშესრულება	2
15.	პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება	10
16.	მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობისა და მომსახურების თეორიული საფუძვლები	3
17.	მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობა და მომსახურება	8
18.	ქვესადგურებისმონტაჟის, დიაგნოსტიკისადადამომსახურებისთეორიულისაფუძვლები	4
19.	ქვესადგურების მონტაჟი, დიაგნოსტიკა და მომსახურება	10
	ჯამი	45

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

	მოდულების დასახელება	კრედიტები
	ზოგადი მოდულები	
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა	5
		8
	სავალდებულო ზოგადი მოდული რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე ტესტირების გზით ჩარიცხული სტუდენტებისთვის	
3.	ქართული ენა B1	15
4.	ქართულიენაA2	15
		30
№	საერთო პროფესიული მოდულები -	კრედიტი
5.	გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში	2
6.	საინჟინრო ხაზვა	4
7.	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები	4
8.	კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში	4
	ჯამი:	14
	ინტეგრირებული მოდულები	
9.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	14
10.	მათემატიკური წიგნიერება	14
11.	მოქალაქეობა	10
12.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	18
13.	მეწარმეობა	4
		60
№	პროფესიული მოდულები - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია - ელექტროობაში	
14.	უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტროობაში	3
15.	ელექტროტექნიკურიმასალები	3
16.	ელექტრული ფუნქციები და ანალიზი	2
17.	საზენკლოპერაციებისშესრულება	2
18.	პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება	10
19.	მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობისა და მომსახურების თეორიული საფუძვლები	3
20.	მაღალი ძაბვის ეგხ-ს მშენებლობა და მომსახურება	8
21.	ქვესადგურებისმონტაჟის, დიაგნოსტიკისადადამომსახურებისთეორიულისაფუძვლები	4
22.	ქვესადგურების მონტაჟი, დიაგნოსტიკა და მომსახურება	10
	ჯამი	45

8. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

ა) კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის

- მოცულობა: 70 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 47 კვირა

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის

- მოცულობა: 100 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 69 კვირა

ბ) კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის

- მოცულობა: 127 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 124 კვირა

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის

- მოცულობა: 157 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 146 კვირა

9. მისანიჭებელი კვალი ფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

- ჩაატაროს გაზომვითი სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკურ მასალებზე;
- გაზომოს ელექტრული ფუნქციების მახასიათებელი სიდიდეები;
- შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები ნახაზის მიხედვით;
- განახორციელოს მაღალი ძაბვის ეგზ-ის მშენებლობა და გაუწიოს მას მომსახურება;
- დაამონტაჟოს ქვესადგურები და გაუწიოს მათ მომსახურება;
- მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაციის აკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
- წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
- დააპროექტოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სქემები და დაამონტაჟოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების აპარატურა;
- გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს.

10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე მათ შორის ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., შესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემპრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.